აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი პროექტი უკვე ატვირთული გვაქვს და მისი ნომერი არის AR1620175. ასევე, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის საიტზე ატვირთული გვქონდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირების პროექტი (განაცხადის ნომერი 01182083145-67). ტექნიკური ხარვეზის გამო (საკადასტრო ერთეულებთან დაკავშირებით) ვერ მოხერხდა პროექტის შუალედური გადაწყვეტილების შემდეგ შებრუნება. ამიტომ, იძულებულები გავხდით აგვეტვირთა თავიდან უკვე გრგ-ს კორექტირების პროექტის გასწორებული ვერსია (განაცხადის ნომერი 01182771498-67). თბილისის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ გადაწეულ იქნა აღნიშნული განაცხადის განხილვის ვადა 3 თვით (ანუ ამ ეტაპზე გრგ-ს კორექტირების პროექტის განხილვის ვადა არის 2019 წლის 14 თებერვალი). გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხერხდება პირობადადებული პროექტის (AR1620175) ვადებში (4 თვე) გრგ-ს კორექტირების პროექტის დამტკიცება, გთხოვთ შეგვითანხმოთ წარმოდგენილი პირობადადებული პროექტი და გაგვიგრძელოთ ვადა.